

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის წლიური ანგარიში

(2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 14 (თოთხმეტი) განცხადება. მათ შორის მოთხოვნის შესაბამისად 11 (თერთმეტი) განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, 3 (სამი) შემთხვევაში კი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობიდან 11 (თერთმეტი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, 2 (ორი) შემთხვევაში კი მოქალაქე, ხოლო 1 (ერთი) მოთხოვნა შემოვიდა საჯარო დაწესებულებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შემოსული 11 (თერთმეტი) განცხადებიდან 1 (ერთი) შემთხვევაში განმცხადებელი წარმოადგენდა ბეჭდურ მედიას.

ბ) 2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 5 (ხუთი) განმცხადებელს ეცნობა წერილობით ათდღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ, ხოლო 9 - ზე (ცხრა) დაუყოვნებლივ გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

გ) 2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე წერილობით მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

დ) სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს განკარგულების საფუძველზე დადგენილი აქვს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი ნანა კაკაჩია.

ე). საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაცია ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“ - და „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ , ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ვ) ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება აღნიშნულ პროგრამაში.

ზ) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძველით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი.

თ) ადმინისტრაციის მიერ ინფორმაციის გაცემის , აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ი) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.